

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

U

სასწავლო კურსის პროგრამა - ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსი: გერმანული ენის აუდირება

კურსის კოდი: HH. 1. G. 01

ლექტორი: ასისტ. პროფ. მანანა ნაპირელი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, უცხოური ენებისა და ლიტერატურის კათედრა.

ტელ: 7 43 23, 599 15 09 15

E- mail: manana_napireli @Yahoo.de

კონსულტაციის დღე:

ხუთშაბათი 11 – 13 სთ.

უცხო ენებისა და ლიტერატურის კათედრა, I კორპუსი, II სართული

კრედიტების რაოდენობა (ECTS) - 5 კრედიტი, 125 საათი. აქედან საკონტაქტო 45 საათი (პრაქტიკული), 80 დამოუკიდებელი საათი.

სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო არჩევითი

კურსი გათვალისწინებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის, გერმანული ენისა და ლიტერატურის დამატებითი

სპეციალობის სტუდენტებისათვის, ბაკალავრისათვის VIII სემესტრში

სასწავლო კურსის მიზანი:

კურსმა უნდა განუვითაროს სტუდენტს აუდირების უნარ-ჩვევები; აუდირებამ ხელი უნდა შეუწყოს წმინდა სმენით აღქმას. სტუდენტმა უნდა შეძლოს გერმანულ ენაზე მოსმენილი ტექსტის შინაარსის გაგება და ლოგიკურად გადმოცემა წარმოთქმის სწორი ათვისების მიზნით. სტუდენტი უნდა მიეჩვიოს თანამედროვე ცოცხალ გერმანულს, მის მრავალფეროვან გამოვლინებას. ამ კურსის საშუალებით სტუდენტმა უნდა შეძლოს გერმანულ ენაზე მოსმენილი მასალის არა მარტო აღქმა, არამედ მისი ანალიზი; მოსმენილი მასალის ირგვლივ დასკვნის გაკეთება, რატომ არის გარკვეული თემის ან საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანი. სტუდენტმა უნდა შეძლოს სპონტანური საუბრის ჩანაწერის, საჯარო ლექციების და გამოსვლების აღქმა. კურსმა უნდა გამოუმუშაოს სტუდენტს გერმანულ ენაზე მოლაპარაკის მეტყველების სწორად აღქმისა და შეფასების უნარი, მათგან მიღებულ ინფორმაციაზე ადეკვატური რეაგირების უნარი.

კურსზე დაშვების წინაპირობა: არა აქვს

სასწავლო კურსის სწავლების შედეგი:

მოცემული სასწავლო კურსის (ფონეტიკა/აუდირება) დასრულების შემდეგ სტუდენტს გამოუმუშავდება შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები

	ზოგადი	დარგობრივი
ცოდნა და გაცნობიერება	გაცნობიერებული აქვს აუდირების ფუნქციები	აცნობიერებს, რომ აუდირების საშუალებით ხდება სწორი მეტყველების გამომუშავება. აცნობიერებს მახვილს და ინტონაციას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სპონტანური საუბრის სმენითი აღქმა	შეუძლია გერმანულ ენაზე მოსმენილი ტექსტის შინაარსის აღქმა და ლოგიკურად გადმოცემა, მეტყველების ნაკადის სწორი დანაწევრება აზრობრივ ჯგუფებად. წარმოთქმის სწორი ათვისების მიზნით სტუდენტი უნდა მიეჩვიოს თანამედროვე ცოცხალ გერმანულს, მის მრავალფეროვან გამოვლინებას.
დასკვნის უნარი	სტუდენტს შეუძლია გამოიტანოს დასკვნა	სტუდენტს შეუძლია გერმანულ ენაზე მოსმენილი მასალის აღქმა და ანალიზი, მოსმენილი მასალის ირგვლივ დასკვნის გაკეთება, რატომ არის გარკვეული თემის ან საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანი
ღირებულებები	იცნობს ჯგუფური მუშაობის ღირებულებებს. აქვს მეტყველების მოსმენისა და გაგების უნარ – ჩვევები	ითვალისწინებს და პატივს სცემს სწორ მეტყველებას.

გერმანული ენის აუდირება

I კვირა	Stufen International 1I	S. 100 Klima- Wetter- Mensch
		S. 104 „Das Jahrhunderthochwasser“
II კვირა	Stufen International 1I	S. 118 Freizeit-Ferien-Reise
		S.122. Hörverstehen “Der Vereinskönig”
III კვირა	Stufen International 1I	S. 118 Freizeit –Ferien - reise
		S. 123 Hörverstehen “Flugerlebnis”
IV კვირა	Stufen International 1I	S. 124 „Abgefertigt“
V კვირა	Stufen International 1I	S. 131 „Freizeitrends bei jungen Leuten“
VI კვირა	Stufen International 1I	S. 136 Verliebt-verlobt – verheiratet-geschieden
		S. 140 Hörverstehen Ehe auf Zeit”
VII კვირა	Stufen International 1I	S. 142 Hörverstehen „Organisation ist alles“
VIII კვირა	Stufen International 1I	S. 150 „Kennenlernen früher und heute”
IX კვირა	Stufen International 1I	S. 154 „Etikette – Höflichkeit”
X კვირა	Stufen International 1I	S. 155 Hörverstehen „Einladung bei der Lehrerin“
XI კვირა	Stufen International 1I	S. 157 Hörverstehen „Ist mir das peinlich“
XII კვირა	Stufen International 1I	S. 65 157 „Gäste hin-Gäste her”
XIII კვირა	Stufen International 1II	S. 125 Hörverstehen „Pünktlichkeit”
XIV კვირა	Stufen International 1II	S. 160 Hörverstehen „Der Abschied“
XV კვირა	Stufen International 1II	S. 175 Zwischen Himmel und Erde
		Hörverstehen „Von sicher bis unsicher“

სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

პრაქტიკული: როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური.

სტუდენტს მოეთხოვება ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა. იგი წინასწარ უნდა იქნეს გაფრთხილებული წერით სამუშაოებთან დაკავშირებით. მას ეკრძალება დაგვიანება როგორც პრაქტიკულ მეცადინეობაზე, ასევე წერით სამუშაოზე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები:

შუალედური შეფასება – მაქსიმუმ 60 ქულა

- 1) 2 შუალედური წერა - (15 ხ 2) – მაქსიმუმ 30 ქულა

(თითოეული მაქსიმუმ 15 ქ.)

- 2) 4 წერითი ან ზეპირი ფორმა (4 ხ 5) – მაქსიმუმ 20 ქულა

- 3) ერთჯერადი წერითი ფორმა დ /ან ზეპირი გამოკითხვა.

მაქსიმუმ 10 ქულა

შუალედური შეფასების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება - მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა უნდა დაიწეროს არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირაში. შუალედური შეფასება მოხდება საკონტროლო წერით, ტესტირებით და ასე შემდეგ.

შუალედური შეფასების მეორე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ოთხჯერადად, წერითი ფორმით და / ან ზეპირი გამოკითხვით. ასევე პრეზენტაციით, რეფერატით და სხვა.

პრეზენტაციის შეფასება განისაზღვრება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების დაცვით:

- 1) თემის გასდაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.
- 2) დასმულ სეკითხვენზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.
- 3) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

დასკვნითი (საბოლოო) გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა

გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი შუალედურ შეფასებებში მოაგროვებს მინიმუმ 11 ქულას.

კრედიტი ენიჭება სტუდენტს მინიმუმ 51 ქულაზე.

თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ წყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც იგი დროულად აცნობებს ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- . 91-100 ქულა : A (ფრიადი)
- . 81-90 ქულა: B (ძალიან კარგი)
- . 71-80 ქულა: C (კარგი)
- . 61-70 ქულა: D (დამაკმაყოფილებელი)
- . 51-60 ქულა: E (საკმარისი)

არსებობს ორი ტიპის უარყოფითი შეფასება:

. 41-50 ქულა: FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს კრედიტის მისაღებად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადში დამატებითი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება შეფასების სხვა კომპონენტებში მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულათა ჯამიც.

. 40 და ნაკლები ქულა - F (ჩაიჭრა). ამ შემთხვევაში სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტრირდება სგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად.

ძირითადი ლიტერატურა:

1. Stufen International „*Deutsch als Fremdsprache für Jugendliche und Erwachsene*“ II Ernst Klett GmbH, Stuttgart, 1995
(ბიბერახის კუთხე)
2. Peter Kühn *Hörverstehenübungen - Texte hören lernen* Julius Gross. Verlag Heidelberg 1991
(პირადი ბიბლიოთეკა)
3. Stufen International „*Deutsch als Fremdsprache für Jugendliche und Erwachsene*“. III Ernst Klett GmbH, Stuttgart, 1995
(ბიბერახის კუთხე)

დამხმარე ლიტერატურა:

1. ვარდოსვილი ც. ბეგლარიშვილი „*გერმანული ენის შესავალი ფონეტიკური კურსი*“
(ბიბერახის კუთხე)
2. D. Middleman, Sprechen, Hören, Sprechen: Übungen zur deutschen Aussprache, 1996
(პირადი ბიბლიოთეკა)
3. გ. სათირიშვილი „*გერმანული ენის ფონეტიკის სწავლების მეთოდიკა*“
(პირადი ბიბლიოთეკა)
4. „*Passwort deutsch*“ - – Übungsbuch 1 Klett Verlag GmbH, Stuttgart 2003
(ბიბერახის კუთხე)
5. „*Schritte*“ – deutsch als Fremdsprache. 1 Max – Hueber Verlag Ismaning 2004
(ბიბერახის კუთხე)
6. „*Delfin*“ Lehrwerk für deutsch als Fremdsprache Max – Hueber Verlag Ismaning 2003
(უცხოური ენებისა და საზღვ. ლიტ-ის კათედრა)